ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070401

ქვეპროგრამის დასახელება:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	69 000
სულ ბიუჯეტი:	69 000

ქვეპროგრამის მიზანი:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დამატებითი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან, რაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას. ქვეპროგრამა აქტუალურია იმითაც, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან (შემდეგ-უფლებამოსილი ორგანოები) წარმოდგენილი სიების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 1000 ლარის ოდენობით ბენეფიციარს გადაეცემა პირადობის მოწმობის (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) საფუძველზე. მატერიალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული უფლებამისილი პირი შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება	69	1 000	69 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			69 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X			
წარმოდგენილი სიების გადამოწმება	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება	100 და მეტი წლის მოქალაქეების რაოდენობა	69	სამოქალაქო რეესტრი, სოციალური მომსახურების სააგენტო, მუნიციპალიტეტების გამგეობები და ქ. ბათუმის მერია	წელიწადში ერთხელ	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	სამოქალაქო რეესტრიდან, მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან გამოთხოვილი სიები